



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლომთაძე ნარგიზა ავალოს ასული

ლომთაძე ნარგიზა ავალოს ასული (5. X. 1951, ტყიბული, – 14. III. 2021, თბილისი), ჟურნალისტი, საქართვე. შიარალეებული ძალების ვეტერანი, საქართვე. დამს. ჟურნალისტი (2019). დაამთავრა თბილ. სავაჭრო-ეკონ. სასწავლებელი, 1981 – ა. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტის ფილოლ. და ჟურნალისტიკის ფაკ-ტები. 1981–91 მუშაობდა კომკავშირულ ქ. ბორის ძნელაძეში, 1991–2001 – ეროვნულ გვარდიაში. იყო „სამხედრო გაზეთისა“ და ჟურნ. „მეომრის“ კორესპონდენტი. საქართვე. ტერიტ. მთლიანობისათვის ბრძოლის პერიოდში ოპერატიულად და მაღალ პროფ. დონეზე აშუქებდა მასალებს პრესაში. მუშაობდა საქართვე. ენერგეტიკისა (2003–10) და საქართვე. კომუნიკაციების (2013–21) მარეგულირებელ ეროვნ. კომისიებში.

ლ. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).

თბზ.: უკვდავება, ტ. 1-2, თბ., 1996–2004 (თანაავტ. ა. სიხარულიძე), გულის ძახილი, თბ., 2017.

თ. დოლიძე
